ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ 2019 წლის 1 აგვისტო

სხდომის ოქმი № 2

ქ. ახალციხე **2019 წელი, 1 აგვისტო**

სხდომას ესწრებოდნენ:

ზაზა მელიქიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი
ქეთევან ინასარიძე	სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. მალხაზ მანველიშვილი
2. თენგიზ ხითარიშვილი
3. ელენა ბეგიაშვილი
4. თამარ კაპანაძე
5. ვასილ კვინცხაძე
6. ომარ ჯაყელი
7. შალვა ტაბატაძე
8. ციური ლაფაჩი
9. გიორგი ბუცხრიკიძე
10. ბელა ავალიშვილი
11. მერაბ ბერიძე
12. გიორგი ანდღულაძე
13. ცირა მესხიშვილი
14. ამალია სარქისიან

სხდომას არ ესწრებოდნენ „ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ნინო რუხაძე
2. ნინო ლომიძე
3. ზაზა ივანიძე

4. პოღოს მაგაკიანი
5. ასთხიკ სარქისიანი
6. დოდო ბერიძე
7. მაკა ბერიძე
8. გივი კაპანაძე
9. ნუგზარ თათეშვილი
10. ვალიკო ბალიაშვილი
11. ჭიჭიკო გელაშვილი
12. სუსანა აკოფოვა
13. ოგანეს უსტიან

დღის წესრიგი

1. ახალციხის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.
2. ახალციხის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი კულტურული ღონისძიებების შესახებ.
3. საბჭოს წევრების რეკომენდაციებისა და იდეების გაცნობა.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი ზაზა მელიქიძე „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს" წევრებს მიესალმა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გააცნო.

ზაზა მელიქიძე საბჭოს წევრებს დეტალურად ესაუბრა მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაგეგმილ და მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება. ესენია: გზების, სასმელი წყლის სისტემების, სანიაღვრე არხების, მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, საცხოვრებელი კორპუსების გარე ფასადების, სადარბაზოებისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, სპორტული მოედნებისა და სკვერების მშენებლობა, გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების მონტაჟი, ქალაქ ვალეში კულტურის სახლის რეაბილიტაცია, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები და სხვა.

კერძოდ: ქალაქ ახალციხეში იერ-სახის მოწესრიგების მიზნით 9 აპრილის, რუსთაველის, ასპინძისა და თამარაშვილის ქუჩებზე მიმდინარეობს მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების გარე ფასადების, სადარბაზოებისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. მიმდინარე წელს ქალაქ ახალციხეში 12 მრავალსართულიანი კორპუსის ფასადები და სადარბაზოები მოწესრიგდება. ასევე, გრძელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში დაზიანებული და ამორტიზებული სახურავები ახლით იცვლება. მიმდინარე წელს ჯამში 32 კორპუსის სახურავის რეაბილიტაციაა დაგეგმილი ქალაქ ახალციხეში 12 ქუჩაზე (ასპინძის, ბაგინაშვილის, დიდიმამიშვილის, მესხეთის, ნათენაძის, ბორჯომის, ხარისჭირაშვილის, გოგებაშვილის, ზარზმელის, კანანელის, ადიგენისა და ილია მართლის ქუჩებზე) და სოფლებში ანდრიაწმინდასა (ახალშენის დასახლება) და აწყურში.

აქტიურად მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. მიმდინარე წელს ხორციელდება 8 მასშტაბური პროექტი, ეწყობა 16 კმ სიგრძის გზა: ურაველი-აგარის სამონასტრო კომპლექსთან მისასვლელი გზა, ზემო სხვილისის საავტომობილო გზა, სოფელ ნაოხრების საავტომობილო გზა, სოფელ ხეოთის საავტომობილო გზა, სოფლების ანდრიაწმინდა-ანდის საავტომობილო გზა, სოფელ წინუბნისა და გურკელის საავტომობილო გზა, სოფელ ტყემლანის საავტომობილო გზა.

საბჭოს სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ქალაქ ახალციხეში, ცენტრალური ქუჩების კეცხოველისა და რუსთაველის რეაბილიტაციის პროექტზე, რომლის ფარგლებშიც 930 მეტრი სიგრძის მონაკვეთზე ახალი საგზაო ინფრასტრუქტურა ეწყობა, რაც სამანქანო გზასთან ერთად, საფეხმავლო ბილიკების, მიერთებების, ეზოებში შესასვლელების,

კედლების და ლითონის ღობეების და სანიაღვრე არხების რეაბილიტაციას ითვალისწინებს. აღნიშნულ ქუჩებზე მსგავსი მასშტაბის სამუშაოები პირველად ხორციელდება.

სასმელი წყლის სათავე ნაგებობა და მაგისტრალური წყალსადენი ეწყობა ახალციხის მუნიციპალიტეტის ხუთი სოფლისთვის. სოფლების წინუბნის, გურკელის, აგარის, ზიკილიისა და მუგარეთის მაცხოვრებლები ხარისხიანი წყალმომარაგებით ისარგებლებენ.

ახალციხის ტბაზე ნავების ახალი ბაქანისა და ხელოვნური ტბის მკვებავი წყალსადენის მოწყობა მიმდინარეობს. დამონტაჟდა გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორები. განხორციელებული სამუშაოების შედეგად, ახალციხელებისა და დამსვენებლებისთვის ტბაზე გასეირნება და დასვენება უფრო სასიამოვნო და საინტერესო გახდა. მიმდებარე ტერიტორიაზე დამატებით იგეგმება კიდევ ერთი ფინტესის ტრენაჟორის მოწყობაც.

წლების მანძილზე არსებული პრობლემა გვარდება თამარშვილის ქუჩა N2-ში, 8 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მობინადრეები გადაადგილებას ლიფტების საშუალებით შეძლებენ.

ასევე, მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები ხორციელდება ქალაქ ვალეში არსებულ კულტურის სახლში. რეაბილიტაცია უტარდება შენობის გარე ფასადს და სახურავს. გარემონტდა შიდა ოთახები და კეთილმოეწყო ეზო.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის 46-ვე დასახლებაში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება. მოსახლეობის მიერ არჩეულ პრიორიტეტებს შორისაა: სასმელი წყლის რეზერვუარისა და სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია, სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია, სკვერებისა და სასაფლაოს ღობის აღდგენა, გარე განათების ქსელის მოწყობა, მგზავრთა მოსაცდელების მშენებლობა, ხიდების შეკეთება, შიდა გზების მოხრეშვა და სხვა.

მერმა ისაუბრა 2020 წლის ინფრასტრუქტურულ გეგმებზეც. გაგრძელდება მრავალსართულიანი კორპუსების ფასადებისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია, ეტაპობრივად ყველა კორპუსი კეთილმოეწყობა. ასევე, გაგრძელდება სახურავების რეაბილიტაციაც.

აქცენტი გაკეთდა ახალი სკოლების, ამბულატორიების და საბავშვო ბაღების მშენებლობაზე. ახალგაზრდული ცენტრების, საცურაო აუზის, სკვერების, პარკების და საბავშვო მოედნების მოწყობაზე.

მერმა დეტალურად ისაუბრა ქალაქისთვის უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოგვარებაზე. იგეგმება მარდის წყლისა და მლაშიხევის ღია სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, რომლებიც უხვი ნალექის შემთხვევაში პრობლემებს უქმნიდა მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებლებს. უკვე მიმდინარეობს რუსთაველის ქუჩაზე არსებული ორი ღია კოლექტორის რეაბილიტაცია.

ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხილვის შემდეგ, მერიის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელმა ზაზა თამარაშვილმა საბჭოს წევრებს უახლოეს პერიოდში დაგეგმილი კულტურული ღონისძიებების გეგმა გააცნო. 8 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა ხსოვნის საპატივსაცემოდ ღონისძიება მოეწყობა, 12 აგვისტოს, ახალციხის ტბაზე ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე მრავალფეროვანი პროგრამით აღინიშნება, ხოლო 14 აგვისტოს აფხაზეთის ომში დაღუპულ გმირებს გაიხსენებენ.

„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს' წევრებმა წარმოდგენილი პროექტები მოიწონეს, გამოთქვეს მოსაზრებები და მერს თავიანთი იდეები გააცნეს:

სამცხე-ჯავახეთის სახელწმიფო უნივერისტეტის რექტორის მოადგილემ, მერაბ ბერიძემ უნივერსიტეტის მიმართულებით ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე გაამახვილა ყურადღება და დაინტერესდა რა იგეგმება ამ კუთხით. მერის განმარტებით მზადდება პროექტი, რომელიც ითვალისწინებს გზის ამ მონაკვეთის რეაბილიტაციას, სამუშაოები წელსვე დაიწყება.

მერაბ ბერიძე ასევე, დაინტერესდა რუსთაველის ქუჩაზე დარჩენილი კორპუსების ფასადების რეაბილიტაციით. ზაზა მელიქიძის ინფორმაციით აღნიშნულ ქუჩაზე გზისპირა კორპუსების რეაბილიტაცია 2020 წლის გეგმებში გათვალისწინებულია.

მერაბ ბერიძემ ასევე, დაყენა საკითხი ქალაქში ქართულ და უცხო ენოვანი აბრების და წარწერების პრობლემაზე. ასევე, ისაუბრა მომავალ წელს უნივერსიტეტის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე და იმედი გამოთქვა მერიის მხრიდან მხარდაჭერასა და ჩართულობაზე.

ომარ ჯაყელმა დააყენა საკითხი თამარაშვილის ქუჩაზე გაუმართავი სანიაღვრე არხის თაობაზე, რამაც ხუთსართულიანი კორპუსების სარდაფების დატბორვა გამოიწვია მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის ინფორმაციით აღნიშნულ ქუჩაზე არსებულ სანიაღვრე არხს კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდება, რისთვისაც საპროექტო სამუშაოები უკვე დაწყებულია.

ცირა მესხიშვილმა ისაუბრა ქალაქში საცურაო აუზის მშენებლობის აუცილებლობაზე. მერმა აღნიშნა, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით იგეგმება სასპორტო სკოლის მიმდებარედ მისი მშენებლობა.

შალვა ტაბატაძემ ისაუბრა მიმდინარე წლის სექტემბერში დაგეგმილ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე. მისი თქმით ფესტივალის დღეებში ქალაქს უამრავი თეატრალური დასი ეწვევა, როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, ისე უცხოეთიდან. აღნიშულ პერიოდში საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ცენტრალური პარკის მიმდებარე ტერიტორიას და იქ არსებულ ინფრასტრუქტურას..

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1 ნინო რუხაძე

2 თენგიზ ხითარიშვილი

3 მალხაზ მანველიშვილი

4 ნინო ლომიძე

5 ელენა ბეგიაშვილი

6 თამარ კაპანაძე

7 ზაზა ივანიძე

8 პოღოს მაგაკიანი

9 ასთხიკ სარქისიანი

10 დოდო ბერიძე

11 მაკა ბერიძე

12 ვასილ კვინცხაძე

13 ომარ ჯაყელი

14 შალვა ტაბატაძე

15 ციური ლაფაჩი

16 გიორგი ბუცხრიკიძე

17 ბელა ავალიშვილი Belaavalishvili@gmail.com

18 მერაბ ბერიძე

19 გივი კაპანაძე _____

20 გიორგი ანდღულაძე _____

21 ცირა მესხიშვილი _____

22 ნუგზარ თათეშვილი _____

23 ვალიკო ბალიაშვილი _____

24 ჭიჭიკო გელაშვილი _____

25 სუსანა აკოფოვა _____

26 ოგანეს უსტიან _____

27 ამალია სარქისიან _____